პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-11 წელი

№ 64 (766) | ოთხშაბათი, 11 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 80 კაპ.

ჩვენი მუშაობის მთავარი უბანი

ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული ორგანიზაციები, ასრულებენ რა სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებებს ფიზკულტურისა და სპორტის დარგში, ენერგიული მუშაობით ხელს უწყობენ ახალგაზრდობის ფიზიკურად გაკაჟებას.

ჩვენი მთავარი ამოცანა მასობრივი ფიზკულტურული მუშაობაა. ამიტომ არის, რომ დიად საბჭოთა სამშობლოში ყოველწლიურად სულ უფრო ხშირად ეწყობა სხვადასხვა მასობრივი სპორტული ღონისძიებანი.

საბჭოთა ფიზიკური კულტურის სისტემის საფუძველია მშთ კომპლექსი. ნორმების ჩაბარებით იწყებს ახალგაზრდა სპორტში მეცადინეობას, აქედან ხდება მისი სპეციალიზება, სპორტული დაოსტატების გზით სვლა.

ზაფხული ყველაზე ხელსაყრელი დროა ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადებისათვის, რადგან მშთ კომპლექსში მთავარი ადგილი უკავია ზაფხულის სპორტულ სახეობებს — ცურვას, მძლეოსნობას, ველოსპორტს, სპორტულ თამაშებს.

ჩვენს რესპუბლიკას ერთგვარი წარმატება აქვს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში, ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენების გამოვლინებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებაზე. 1954 წლის სპორტული სეზონიდან უკვე 7 თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს დაშვებული გეგმების შესრულება. ამის მიზეზი [illegible]ველ რიგში, ის არის, რომ მათ ეს [illegible]შვნელოვანი საქმე თვითდინებაზე მიუშვეს. ახალგაზრდობის მიერ მშთ ნორმების მასობრივად ჩაბარების საქმეს უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, კაჰრეთის, ადიგენის, ჭიათურისა და სხვა რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციები. ფიზკულტურისა და სპორტის ადგილობრივმა კომიტეტებმა, ჩაიკეტნენ რა კაბინეტში, შეასუსტეს ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებისადმი ქმედითი ხელმძღვანელობა. ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები ასევე ჩამორჩნენ თანრიგოსანთა მომზადებაში.

ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის არის, რომ წლის დასაწყისიდანვე ენერგიულად არ მოვკიდეთ ხელი ამ მნიშვნელოვან საქმეს, 1954 წლის პირველი დღეებიდანვე არ შევუდექით ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მზადებას. ჩვენი მუშაობის ეს ძირითადი ობიექტი თვითდინებაზე მივუშვით. „5 თვე კიდევ გვაქვს, მოვასწრებთ გეგმის შესრულებას“, — აცხადებს ზოგიერთი ფიზკულტურული მუშაკი, კი მაგრამ, რატომ უნდა დავრჩეთ უკანასკნელი 5 თვის იმედით და ეს თვეები იერიშობანას თვეებად გავხადოთ. ეს არის მუშაობის მავნე პრაქტიკის სავალალო შედეგი.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებათა უმრავლესობამ ვერ შეძლო ამ მნიშვნელოვანი საქმის ჯეროვნად წარმართვა. გატაცებულნი არიან რა საკავშირო მასშტაბის ღონისძიებებით, ნაკრები გუნდების დაკომპლექტებით, მათი მომზადებით, მათ მხედველობიდან გამორჩათ მთავარი — ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში მასობრივი მუშაობის გაშლა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია თუნდაც ასეთი ფაქტი: „შრომითმა რეზერვებმა“ 6 თვის განმავლობაში მშთ მეორე საფეხურის მხოლოდ სამი ნიშნოსანი მოამზადეს. ასევე ჩამორჩა „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭო.

მუშაობის წარმატებით წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფიზკულტურის ხელმძღვანელ კადრებს. თუ ფიზკულტურის კომიტეტები და საზოგადოებათა თავმჯდომარეები უნარიანად უხელმძღვანელებენ ახალგაზრდობაში მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გაშლას — ამ შემთხვევაში უდავოდ გვექნება წარმატება. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ავიწყდება გულრიფშის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს გ. ნაჭყებიას. იგი ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობის ნაცვლად სამუშაოზე არ ცხადდება და რაიონში სპორტული საქმიანობა თვითდინებაზე აქვს მიშვებული. ზოგიერთი ამხანაგი აგვიანებს, ხოლო ხშირად თავს არიდებს კიდეც ზემდგომ ორგანოებში მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებაში არსებული მდგომარეობის შესახებ ცნობების წარმოდგენას. ასე მოიქცნენ ლაგოდეხის კომიტეტის თავმჯდომარე ხანდოლიშვილი, [illegible]ანეთისა — ცალულელაშვილი, ცხაკაიისა — ჩიქობავა.

მშთ კომპლექსი ლენინური კომკავშირის ინიციატივითაა შემოღებული. ამიტომ კომკავშირი უნდა იყოს მისი პროპაგანდის სული და გული. მაგრამ, ამ ბოლო დროს შესამჩნევი გახდა, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონული კომკავშირული ორგანიზაციები თავს არიდებენ ფიზკულტურულ საქმიანობაში ჩარევას, კმაყოფილდებიან სხდომების მოწვევით და პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ ფიზკულტურულ კოლექტივებს.

ახალგაზრდობაში მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ დანერგვა მარტო ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმე როდია. ამაში მათ ქმედითად უნდა ეხმარებოდნენ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები. ამის გარეშე საქმეს წინ ვერ წავწევთ.

ზაფხულის სეზონის დამთავრებამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი. ამ დროში ჩვენ უნდა შევძლოთ მუშაობის გარდაქმნა, მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებაში ჩამორჩენის აღმოფხვრა.

საკავშირო სპარტაკიადაზე

23 აგვისტოს ლენინგრადში ტარდება მოსწავლეთა პირველი საკავშირო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა, ველოსპორტი, კალათბურთი, ფრენბურთი და სროლა. სპარტაკიადაში მონაწილეობს მოკავშირე რესპუბლიკების, ლენინგრადისა და მოსკოვის გზათა სამინისტროსა და კულტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ნაკრები გუნდები.

8 აგვისტოს საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად და სასწავლო-საწვრთნელი შეკრების გასაგრძელებლად ლენინგრადს გაემგზავრნენ განათლების სამინისტროს მოსწავლეთა ნაკრები გუნდები.

მშვიდობისათვის, მეგობრობისათვის!

დამთავრდა სტუდენტთა XII მსოფლიო თამაშები

ტანმოვარჯიშეთა მედლები

საბჭოთა ტანმოვარჯიშეები რომ მსოფლიოში უძლიერესი არიან, ეს კარგად იცოდნენ უნგრეთში. სწორედ ამიტომ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენების გამოსვლებს მრავალრიცხოვანი მაყურებელი ესწრებოდა.

წარმატებით გამოვიდა თამაშებზე საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვაჟთა გუნდი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. 8 სპორტსმენს გადაეცა ჩემპიონის ოქროს მედალი. უახლოესი კონკურენტი — უნგრეთი გამარჯვებულ გუნდს ჩამორჩა 16,3 ქულით.

სტუდენტთა თამაშების აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ტაკაჩი (უნგრეთი) — 114,85 ქულა. მეორე ადგილზე იყო ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე ვ. სმოლევსკი (სსრკ) — 114,25 ქულა, მესამეზე — ბ. შახლინი (სსრკ).

მრავალჭიდის ექვსი სახეობიდან საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა 4-ში პირველი ადგილები დაიკავეს. რგოლებზე ნებისმიერი პროგრამის ბრწყინვალე შესრულებისათვის უმაღლესი შეფასება — 10 ქულა მიიღო ა. აზარიანმა. შახლინი უძლიერესი იყო ძელზე ვარჯიშში. მანვე გაიყო პირველი ადგილი უნგრელ კატუ-სერასთან ტაიჭზე ვარჯიშში. ორძელზე ჩემპიონი გახდა ვ. სმოლევსკი. ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშებში მედალი გადაეცა ტაკაჩს.

ქალთა შორის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა თ. მანინამ (სსრკ).

ბუდაპეშტის რინგზე

მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტულისათვის კრივში 10 სახელმწიფოს 48 სპორტსმენი იბრძოდა.

საინტერესო დაძაბული ბრძოლების შემდეგ გუნდური პირველობა მოიპოვეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა — 38 ქულა. მეორე ადგილი წილად ხვდათ უნგრელ მოკრივეებს — 31 ქულა.

ხუთმა საბჭოთა სპორტსმენმა დაისაკუთრა ჩემპიონის ოქროს მედალი. ესენი არიან: ა. შოციკასი, გ. შატკოვი, გ. მოიარშინოვი, ა. ზასუხინი და ბ. სტეპანოვი. მეორე ადგილებზე გამოვიდნენ ვ. სტოლნიკოვი, გ. დარბაისელი, ლ. სენკინი, მესამეზე — ვ. ლოგინოვი და ი. ვინოგრადოვი. აღსანიშნავია, რომ დარბაისელმა წააგო ერთადერთი შეხვედრა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთან, უნგრელ ლასლო პაპთან.

ახალი რეკორდები

სტუდენტთა თამაშები სპორტის სხვადასხვა სახეობებში შესანიშნავი შედეგებით აღინიშნა. მათ შორის საუკეთესოა ტუმპეკის (უნგრელი მოცურავე) და ვილხოვსკის მსოფლიო რეკორდები. მაყურებელმა გულთბილად მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ მძიმე წონის ძალოსანმა ვილხოვსკიმ (სსრკ) ატაცში დაძლია 100,1 კილოგრამი და ამით გააუმჯობესა მის მიერ 10 ივლისს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე დამყარებული მსოფლიო რეკორდი 1,1 კილოგრამით. ვილხოვსკის გადაეცა ჩემპიონის ოქროს მედალი. პირველი ადგილები მოიპოვეს აგრეთვე საბჭოთა ძალოსნებმა ხ. ხანუკაშვილმა (ქვემსუბუქი წონა), გ. შეგლოვმა (მსუბუქი წონა) და ფ. ბოგდანოვსკიმ (ქვესაშუალო წონა), ნ. მერკულოვმა (საშუალო წონა), ფ. ოსიპმა (ქვემძიმე წონა) და ა. მედვედევმა (მძიმე წონა).

კალათბურთი, ფრენბურთი

დამთავრდა კალათბურთელთა და ფრენბურთელთა ტურნირიც. საბჭოთა კავშირის ქალთა გუნდმა დაიკავა მეორე ადგილი. ვაჟები გამოვიდნენ მესამე ადგილზე. თამაშებში წარუმატებლად გამოვიდა ჩვენი ქვეყნის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი, რომელსაც წილად ხვდა მეექვსე ადგილი. ქალთა გუნდმა მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებს გადაეცათ ოქროს მედლები.

• • •

8 აგვისტოს მოხდა სტუდენტთა XII თამაშების საზეიმო დახურვა. სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის გენერალურმა მდივანმა ირჟი პელიკანმა აღნიშნა ახალგაზრდობის ამ შესანიშნავი დღესასწაულის დიდი მნიშვნელობა. შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმა შეჯიბრების მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე დიულა ჰედი.

საბჭოთა პარაშუტისტების ბრწყინვალე გამარჯვება

საპარაშუტო სპორტში 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონია საბჭოთა სპორტსმენი ი. ფედჩიშინი

6 აგვისტოს დამთავრდა მსოფლიო პირველობის გათამაშება საპარაშუტო სპორტში.

შეჯიბრების მსვლელობაში გამოვლინდა საბჭოთა პარაშუტისტების უპირატესობა და მათი შესანიშნავი ოსტატობა. უკვე პირველი ვარჯიშის შესრულების შემდეგ პრესამ და საფრანგეთის სპორტულმა წრეებმა აღნიშნეს საბჭოთა სპორტსმენების ძლიერი ნებისყოფა, მათი ოსტატობა, გუნდის შეწყობილი მოქმედება და მისი ყველა წევრის მაღალი დისციპლინიანობა.

შეჯიბრების შედეგად გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც 2.100 შესაძლებლიდან 1.861,5 ქულა მოაგროვეს. მეორე ადგილი დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის პარაშუტისტებმა — 1.598,5 ქულა, მესამე ადგილზე გამოვიდა საფრანგეთის გუნდი — 1.487 ქულა.

პირად პირველობაში პირველი ადგილი დაიკავა და 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა საბჭოთა პარაშუტისტმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. ფედჩიშინმა. 770 შესაძლებლიდან მან მოაგროვა 672 ქულა. მეორე ადგილი დაიკავა საბჭოთა პარაშუტისტმა სპორტის ოსტატმა ვ. მარიუტკინმა — 610,5 ქულა, მესამე ადგილზე გამოვიდა ფრანგი სპორტსმენი შაზაკი — 582,5 ქულა, მეოთხეზეა საბჭოთა სპორტსმენი კოსინოვი.

მსოფლიო პირველობის გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ორმა ქალმა — საბჭოთა სპორტსმენმა ვ. სელივერსტოვამ და ცნობილმა ფრანგმა სპორტსმენმა მონიკა ლარომშმა. ამ შეჯიბრებაში საბჭოთა პარაშუტისტმა ქალმა შეჯიბრების ყველა მონაწილეთა შორის მე-9 ადგილი დაიკავა და 139,5 ქულით გაუსწრო მონიკა ლარომშს. ლარომში მე-19 ადგილზე აღმოჩნდა.

შეჯიბრებამ ცხადყო ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდა პარაშუტისტთა სპორტული ოსტატობის მნიშვნელოვანი ზრდა, რომლებმაც გუნდურ პირველობაში მე-2 ადგილი მოიპოვეს.

საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის უმაღლესი ჯილდო მიეკუთვნა საბჭოთა პლანერისტს ვ. ილჩენკოს

ლონდონში დამთავრდა საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის საპლანერო კომისიის სხდომები. საპლანერო კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა საპლანერო სპორტის წარმომადგენლებმა ვ. ილჩენკომ და პ. ტურჩინმა. კომისიის გადაწყვეტილებით საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის უმაღლესი ჯილდო უმოტოროდ ფრენის დარგში დიდი მიღწევისათვის 1953 წელს — ლილიენტალის მედალი — მიეკუთვნა საბჭოთა პლანერისტს ვ. ილჩენკოს. მან დაამყარა ორადგილიანი პლანერით სიშორეზე ფრენის მსოფლიო რეკორდი, გაიარა რა ძირდაუშვებლად მოსკოვიდან სტალინგრადამდე 820 კილომეტრი და 822 მეტრი.

გარდა ამისა, საბჭოთა პლანერისტები დაესწრნენ, როგორც მეთვალყურენი, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური საპლანერო ორგანიზაციის კონგრესსა და მსოფლიო ჩემპიონატს საპლანერო სპორტში.

საბჭოთა მძლეოსნები ჩინეთში

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენებთან ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად მოსკოვიდან პეკინს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან ე. ანდრეევა, ე. გოკიელი, ნ. პოპოვი, ტ. ლუნევი, ი. ილიასოვი, დ. პიატაიკინი და სხვები.

აღმოვფხვრათ ჩამორჩენა ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადებაში

◆

ვიმუშაოთ მეტი მონდომებით

რესპუბლიკაში ყველა პირობაა შექმნილი მშთ ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადებისათვის. ხელსაყრელი კლიმატური პირობები, სპორტულ ნაგებობათა ფართო ქსელი შესაძლებლობას გვაძლევს წარმატება მოვიპოვოთ ამ საქმეში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები დიდად ჩამორჩნენ ამ საქმეში. ამ საპასუხისმგებლო საქმისადმი მთელი რიგი ფიზკულტურული ორგანიზაციების ზერელე დამოკიდებულებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მშთ პირველი საფეხურის ნიშნოსნების მომზადების გეგმა მხოლოდ 29,4 პროცენტითაა შესრულებული. უარესი მდგომარეობაა მშთ მეორე საფეხურის ნიშნოსანთა მომზადებაში. ჩვენი ქვეყნის მოწინავე სპორტსმენების საიმედო რეზერვის აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადებას. მაგრამ აქაც ისეთივე მდგომარეობაა, როგორც ნიშნოსანთა მომზადებაში. ნახევარი წლის განმავლობაში რესპუბლიკაში პირველთანრიგოსანთა მომზადების გეგმა 30,7 პროცენტით განაღდდა, მეორესი — 30,6 პროცენტით, მესამესი — 40,3 პროცენტით, ჭაბუკთა თანრიგის — 50,5 პროცენტით.

ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების მთავარი პირობაა ხშირად და ორგანიზებულად მოწყობილი სპორტული ღონისძიება. უამისოდ შეუძლებელია ამ საქმეში წარმატების მოპოვება. მაგრამ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლინების ამ მნიშვნელოვან ფაქტორს ნაკლები ყურადღება ექცევა. ამიტომაა, რომ ბორჯომის, გორის, დმანისისა და სხვა რაიონები სამარცხვინოდ ჩამორჩნენ. მიმდინარე წელს ნიშნოსანთა რიგები არც ერთი კაცით არ გაზრდილა კაპრეთისა და მესტიის რაიონებში. ეს იმას მოწმობს, რომ ამ რაიონების ფიზკულტურის მესვეურები ურიგდებიან ჩამორჩენას, მათ არ აფიქრებთ მრავალრიცხოვანი ახალგაზრდების სამართლიანი უკმაყოფილება ფიზკულტურული მუშაობის ჩაშლის გამო. ასევე უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას დმანისის, ტყიბულისა და წალკის რაიონული ფიზკულტურული ორგანიზაციები მათ არც ერთი თანრიგოსანი არ მოუმზადებიათ.

მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებაში ჩამორჩენა იმას მოწმობს, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში საგრძნობლად ჩაშლილია მასობრივი ფიზკულტურული მუშაობა, არ ხდება ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლინება, დაბალ დონეზე ან სრულებით არ მუშაობენ სპორტული სექციები. განსაკუთრებით საყვედურის ღირსია ლანჩხუთის რაიონი. აქ ახალგაზრდების ინიციატივით აღდგენილი და აშენებულია მრავალი სპორტული ბაზა. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ არ ავსებენ სპორტის მოყვარული ახალგაზრდები.

მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებაში ჩატარებული მუშაობით აგრეთვე ვერ დაიტრაბახებენ რესპუბლიკის პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებები.

„შრომითი რეზერვების" განკარგულებაშია მრავალი საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა და სახელოსნო სასწავლებელი, სადაც ათასობით ახალგაზრდა სხვადასხვა პროფესიას ეუფლება. ამ საზოგადოების მესვეურები თავს იმით ვერ გაიმართლებენ, რომ მომავალ მუშებს არ უყვართ ფიზკულტურა და სპორტი. „შრომითი რეზერვები" რესპუბლიკურ და სსრ კავშირის პირველობაზე მოწყობილ შეჯიბრებაში მონაწილეობით კმაყოფილდებიან და ავიწყდებათ მთავარი — მასობრივი ფიზკულტურული მუშაობა. ამან კი ის მოგვცა შედეგად, რომ 6 თვის განმავლობაში საზოგადოებამ მშთ მეორე საფეხურის 3 (!) ნიშნოსანი მოამზადა. „შრომითი რეზერვების" ყოველ ძირეულ კოლექტივში კი ფიზკულტურულ მუშაობას განთავისუფლებული მუშაკი ხელმძღვანელობს.

„კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს სუსტ მუშაობაზე მეტყველებს ის, რომ 6 თვის განმავლობაში 2.000 ნიშნოსნის ნაცვლად მან მხოლოდ 182 მოამზადა. ასევე საყვედურის ღირსია საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, რომელმაც ვერ შეძლო სკოლებში მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება. ამან კი მნიშვნელოვნად იმოქმედა გეგმების შესრულებაზე.

რესპუბლიკაში ნაკლები ყურადღება ექცევა სპორტის წამყვან სახეობებში სპორტსმენთა მომზადებას. ამიტომაა, რომ ჩვენ ჩამოვრჩებით ტანვარჯიშში, ველოსპორტში, ფარიკაობაში, კრივში და სხვ.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ რაიონებისა და ქალაქების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა თვითდინებაზე მიუშვეს ახალგაზრდობას შორის მასობრივი ფიზკულტურული მუშაობა. კომიტეტის ზოგიერთი თავმჯდომარე მხოლოდ იმით კმაყოფილდება რომ, ხელმძღვანელობს რა რესპუბლიკის პირველობის მონაწილე ფეხბურთის გუნდს, მიემგზავრება მატჩების ჩასატარებლად და უყურადღებოდ ტოვებს თავის ღვიძლ საქმეს — კვირა დღეებში მასობრივ ღონისძიებათა ჩატარებას.

წლის ბოლომდე 5 თვე დარჩა. საჭიროა უქმად არ დავკარგოთ არც ერთი დღე, არც ერთი საათი, მთელი გულისყურით მოვეკიდოთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების საქმეს, რათა თავი დავაღწიოთ ჩამორჩენას.

ა. დოკვაძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე.

ჩააბარეს ნორმატივები



მცხეთაში, მტკვრის პირას, არმაზის ხეობაში მდებარეობს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პიონერთა ბანაკი.

ბანაკის გახსნის დღიდანვე პიონერ-მოსწავლეები ხალისიან საქმიანობას შეუდგნენ, მათ მოაწყეს ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, სარბენი ბილიკი და სახტომი ორმო, ჩამოაყალიბეს სპორტული სექციები, შეადგინეს სპორტული შეჯიბრებებისა და საექსკურსიო მარშრუტების გეგმა.

პიონერებს განსაკუთრებით აინტერესებდათ მცხეთის ისტორიული ადგილების შესწავლა. ამ მიზნით მათ მოაწყეს ექსკურსია არმაზში, ბებრის ციხეში, სვეტიცხოველში. ბავშვებმა გულდასმით დაათვალიერეს არქეოლოგიური გათხრები. მოაწყეს ლაშქრობა საგურამოში, სადაც დაათვალიერეს დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.

ჩატარდა საბანაკო სპარტაკიადა. პროგრამაში იყო. რბენა 60 მეტრზე, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომა, ყუმბარის ტყორცნა, ფრენბურთი, ჭადრაკი და შაში. რაზმებს შორის გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს მეორე რაზმის პიონერებმა. პირად პირველობაში გაიმარჯვა დავით ხიდაშელმა, სიმაღლეზე ხტომასა და ყუმბარის ტყორცნაში ყველას აჯობა როლანდ შენგელიამ. სიგრძეზე ხტომაში ძლიერი იყო მურმან ჩარკვიანი, ჭადრაკში — ელგუჯა ხარჩიევი.

ბევრმა პიონერმა ჩააბარა იმშთ-ს ნორმები, ხოლო ხუთმა მოზარდთა თანრიგის ნორმა შეასრულა. გამარჯვებულ პიონერ-მოსწავლეებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ რაზმეულის სიგელები.

• • •

სურათზე: შეჯიბრება ჭადრაკში.
ფოტო პ. ვართანოვისა

პირობები არის, მაგრამ...

ცაგერა ერთ-ერთი კეთილმოწყობილი სოფელია ოჩამჩირის რაიონში. ამ სოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა მიმდინარე წელს თამბაქოს, ჩაისა და სიმინდის უხვ მოსავალს იღებს.

კოლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებაში მთავარი წვლილი ახალგაზრდებს მიუძღვით. ნ. ჭურღულიას, დ. ხეცურიანის, ნ. სალინაძის, კ. ლიპარტელიანისა და სხვათა სახელებს კარგად იცნობენ მთელ რაიონში.

ცაგერელ ახალგაზრდებს ნაყოფიერ შრომასთან ერთად სურთ გაიკაჟონ სხეული, იმეცადინონ სპორტულ სექციებში. ამიტომ კოლმეურნეობაში შეიქმნა ფიზკულტურის კოლექტივი, რომლის თავმჯდომარედ ენერგიული ახალგაზრდა კ. ლიპარტელიანი აირჩიეს. პირველ ხანებში მუშაობა გამოცოცხლდა. სოფლის ცენტრში ფეხბურთის მოედნის მშენებლობაც დაიწყო. ბურთიც შეიძინეს და ყველაფერი ამით დამთავრდა. შემდეგ ფიზკულტურული მუშაობით არავინ დაინტერესებულა და ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთისა და ჭიდაობის სექციები მხოლოდ ქაღალდზე დარჩნენ. ამის გამო ახალგაზრდობის სამართლიანი უკმაყოფილება ყურადღების გარეშე რჩება. ეს მაშინ, როცა ყოველივე ამის გაკეთება აქ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მაგრამ რატომღაც კოლმეურნეობის ხელმძღვანელობიდან მხარდაჭერა არა ჩანს და მდგომარეობაც უცვლელია.

— ფიზკულტურაში ცუდად გვაქვს საქმე, — აცხადებს საკოლმეურნეო პარტბიუროს მდივანი ვ. ჩაკვეტაძე, — მაგრამ რა ვქნათ, დროს ვერ ვპოულობთ, ყველაფერს ვერ ვწვდებით.

ფაქტი კი ის არის, რომ სოფელ ცაგერაში ყველა პირობაა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლისათვის, მაგრამ ამისათვის არ არის არც ფიზკულტურის რაიონული ხელმძღვანელობისა და არც ადგილობრივი ხელმძღვანელი ამხანაგების დაინტერესება.

პ. ქულბაქელი

სპორტულ საზოგადოებებში

«უროჟაი»

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტულ ბაზაზე რამდენიმე დღე მიმდინარეობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების ფინალური სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ დიდი ჯიხაიშის, ბაკურციხის, გორის, კულაშისა და სოხუმის სპორტსმენთა კოლექტივები. შეჯიბრების პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ძალოსნობა, ქართული ჭიდაობა, სროლა და ველორბოლა.

გუნდურ ჩათვლაში საერთო პირველ ადგილზე გამოვიდნენ სოხუმის ტექნიკუმის სპორტსმენები, მეორე ადგილზეა კულაშის, მესამეზე — ბაკურციხის გუნდი.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაზე მოუმზადებლად გამოვიდა დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმის კოლექტივი, რომელსაც სუსტი გუნდები ჰყავდა სროლაში, ველორბოლაში, ქართულ ჭიდაობასა და ძალოსნობაში.

ბ. ჯანელიძე,
ნ. ხვიჩია.

«სპარტაკი»

რიგაში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" პირველი საკავშირო სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა სპორტის ცალკეულ სახეობებში კარგი შედეგები აჩვენეს. კლასიკურ ჭიდაობაში ბათუმელმა ი. ტუღუშმა (საშუალო წონა) მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლები თავისუფალ ჭიდაობაში ე. სიმონიანმა (ქვესაშუალო წონა), ი. სალარაძემ (მძიმე წონა) მოიპოვეს პირველი ადგილები. ა. ხაჩატურიანი და ვ. ლაფაური გამოვიდნენ მეორე ადგილზე, ხოლო — დ. სხირტლაძე და ხ. ზედელაშვილი მესამეზე.

კალათბურთელთა შეჯიბრებაში საქართველოს გუნდი მესამე ადგილზე გამოვიდა.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი წილად ხვდათ რსფსრ-ს სპორტსმენებს.

„შრომითი რეზერვები"

ქურსკი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ). აქ გრძელდება „შრომითი რეზერვების" საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში. მორიგი შეხვედრა საქართველოს ფეხბურთელებმა ჩაატარეს ალტაის მხარის ნაკრებ გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 11:0. შემდგომი შეხვედრა ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა მოუგო კემეროვოს — 3:1.

მატჩი მოსკოვის გუნდთან დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით, ანგარიშით 2:1, მაგრამ საქართველოს გუნდმა გააპროტესტა თამაშის შედეგი. პროტესტი დაკმაყოფილებულ იქნა.

აღნიშნული კოლექტივების განმეორებით შეხვედრაში გაიმარჯვა საქართველოს გუნდმა ანგარიშით 3:0.

◆

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენი გაზეთის მკითხველი ხულოდან გვატყობინებდა, რომ „მოედანზე წყლის გუბეები დგას და იგი პირუტყვის საძოვრადაა გადაქცეული".

როგორც საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის მდივანი ამხ. ა. ქონიაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. მიღებული ზომების შედეგად ფეხბურთის მოედანი წესრიგშია მოყვანილი.

მხოლოდ თავმჯდომარეები იცვლებიან

გულრიფშის რაიონში ყოველგვარი პირობაა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გაშლისათვის. სპორტის სხვადასხვა სახეობათაგან განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა ფეხბურთი. აქ აღიზარდა ბევრი საუკეთესო სპორტსმენი, რომლებმაც სახელი გაითქვეს მთელს რესპუბლიკაში ასევე წარმატებით ვითარდებოდა სპორტის სხვა სახეობანიც

მაგრამ ეს ყველაფერი დავიწყებას მიეცა. ამჟამად აქ სრულიად ჩაშლილია მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა. ამის მთავარ დამნაშავედ გვევლინება გულრიფშის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ ფორმალურად არსებობს. ანდა როგორი უნდა იყოს კომიტეტის დახმარება ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებზე, როცა მისი თავმჯდომარე გ. ნაჭყებია სამუშაოზეც არ ცხადდება. მაგალითად ა. წ. 28 ივლისს შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ის რამდენიმე დღე არ ყოფილა კომიტეტში და არც არავინ იცის სად იყო. ფიზკულტურის კომიტეტის უგულო მუშაობას მიეწერება ის ფაქტი, რომ რაიონში არ სრულდება ნიშნოსანთა მომზადების გეგმა. მიმდინარე წელს მხოლოდ კოლმეურნე ფეხბურთელთა შეჯიბრება მოეწყო და ისიც კომკავშირის ინიციატივით. სხვა სახის ღონისძიება წელს აქ არ ჩატარებულა.

მთელ რაიონში არ მოიძებნება ისეთი ფიზკულტურული კოლექტივი, სადაც მუშაობა კარგად იყოს დაყენებული. ლენინის სახელობის მოწინავე და დიდ საბჭოთა მეურნეობაში სპორტული საქმიანობა მთლიანად მივიწყებულია. ციტრუსოვან პლანტაციებში, ბაღ-ვენახებში ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ აქაურ ახალგაზრდებს სურთ კულტურულად დაისვენონ, სპორტულ მოედნებს მიაშურონ, გაიკაჟონ სხეული, მაგრამ მათ ამის საშუალება არ აქვთ. რაიონში არც ერთი სპორტული სექცია არ არსებობს და თუ არსებობს ფორმალურად, ქაღალდზე.

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" რაისაბჭოს მუშაობაზე გულისწყრომით საყვედურობენ კოლმეურნეები. ჯერ იყო თავმჯდომარის არჩევა ვერ მოახერხეს, შემდეგ ეს თანამდებობა კულტსახლის დირექტორს შეუთავსეს, მერე შ. წურწუმიას მიანდეს, წურწუმიას შემდეგ ო. რაფავას გადაულოცეს. ამ თანამდებობაზე ახლა კი სრულებით არავინ მუშაობს.

ამის შედეგად საკოლმეურნეო ფიზკულტურულ კოლექტივებში სრულიად ჩაშლილია ფიზკულტურული მუშაობა. მთლიანად მივიწყებულია სპორტი სოფელ ოქტომბრის ლენინის, ხევის მალენკოვის, წებელდის სტალინის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებში.

როცა ახალგაზრდობის ფიზიკურად აღზრდა მივიწყებულია, ფიზკულტურის რაიონული კომიტეტი საქმეს უპასუხისმგებლოდ ეკიდება, რატომ ქმედით ზომებს არ იღებს კომკავშირი? ზაფხულის სპორტული სეზონის დარჩენილი დრო საშუალებას გვაძლევს გამოვაცოცხლოთ მასობრივი მუშაობა, საკოლმეურნეო მინდვრების ოსტატები სამუშაოსაგან თავისუფალ საათებში ჩავაბათ ფიზკულტურულ საქმიანობაში.

პ. ლეთოდიანი

ფეხბურთი, კალათბურთი

სურათზე: სახიფათო მომენტი თბილისის „დინამოს" კართან. მარცხნიდან მარჯვნივ — კატროვსკი, მახარაძე, კრავეცი და ხუდოიაში.

სურათზე: სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ქორქია მოწინააღმდეგის ფარის იერიშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა

მეცხრე დამარცხება

9 აგვისტოს მატჩს თბილისის „დინამოსა" და ლენინგრადის „ზენიტს" შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისათვის, განსაკუთრებით თბილისელთათვის. ახლა, ჩემპიონატის დასასრულს, მათთვის გადამწყვეტია ყოველი ქულა, რათა გუნდმა შეძლოს შეინარჩუნოს თუნდაც ის არასახარბიელო ადგილი, რომელიც მას ამჟამად უჭირავს. გარდა ამისა, დინამოელებს რევანშის აღების ბუნებრივი სპორტული მისწრაფებაც უნდა ჰქონოდათ.

დაიწყო თამაში. უკვე პირველმა წუთებმა ცხადყო, რომ სტუმრები მასპინძლებზე გაცილებით უკეთესად თამაშობდნენ. მხოლოდ ერთხელ მიუახლოვდნენ დინამოელები მოწინააღმდეგის კარს და ღოლობერიძემ კოტრიკაძის მიწოდებიდან თავით გაგზავნა კარის მიმართულებით ბურთი, რომლის აღება მეკარე ლ. ივანოვისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. სამაგიეროდ „ზენიტის" შეტევა ხანგრძლივი, მოფიქრებული და მწვავე იყო. თავდამსხმელებმა ჯერ მარჯვენა ფრთაზე (ხუდოიაში, მარიუტინი) გაითამაშეს კომბინაცია, შემდეგ კი იერიშში ჩაება მარცხენა ფლანგიც (ა. ივანოვი, ვინოგრადოვი) და ცენტრალური თავდამსხმელი კატროვსკი. თბილისელთა დაცვა მოწინააღმდეგის პირველივე იერიშს პანიკითა და არეული რიგებით შეხვდა. ამით მაშინვე ისარგებლეს ლენინგრადელებმა და ნახევარმცველმა ვოინოვმა მე-5 წუთზე დაახლოებით 30 მეტრიდან ზუსტად და ძლიერად დაარტყა. მეკარე კიტიას ნახტომმა კარი ვერ იხსნა გოლისაგან — 1:0.

გატანილმა ბურთმა კიდევ მეტი დეზორგანიზაცია შეიტანა თბილისელთა რიგებში. კიტია ნერვიულობდა, არაზუსტად აწოდებდა კარიდან ბურთს, ა. ივანოვის მიერ დარტყმული იოლი ბურთი მან ფეხებში გაუშვა და მხოლოდ ძელმა იხსნა კარი გოლისგან. თბილისელთა მცველები მჭიდროდ არ იჭერდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს, უსისტემოდ, ანგარიშმიუცემლად იგერიებდნენ ბურთებს, მათ შორის არ იყო არავითარი ურთიერთდახმარება (ამაში განსაკუთრებით სუსტი იყო რუხაძე), კარის წინ შექმნილ უმძიმეს სიტუაციაშიც კი ელოშვილი და სარჯველაძე ბურთს ატარებენ და კიდეც უფრო ირთულებენ საქმეს. განსაკუთრებით უმწეოდ გამოიყურებოდა ამ დღეს ნახევარდაცვა. მახარაძე და ანთაძე თითქმის ყოველთვის წაგებული გამოდიოდნენ „ზენიტის" შუამარბებთან ბრძოლაში, სავსებით მარტივ პოზიციაშიც კი მათი გადაცემების 90 პროცენტი ლენინგრადელებს მისდიოდათ ფეხში. ამას გარდა, მახარაძე ხშირად უსარგებლოდ, უდროო დროს გადადიოდა დრიბლინგზე, კარგავდა ბურთს და ვერ ასწრებდა დაცვაში. ორივე ნახევარმცველის წყალობით „ზენიტის" თავდამსხმელებს ყოველთვის ჰქონდათ რიცხობრივი უპირატესობა თბილისელთა ნახევარზე.

ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა თბილისის „დინამოს" თავდამსხმელთა თამაში. 90 წუთის განმავლობაში ლ. ივანოვმა მხოლოდ ორი მეტად ადვილი ბურთი აიღო. კ. გაგნიძე თამაშიდან სრულიად გამოთიშა ნახევარმცველმა კრავეცმა, არ ჩანდა მოედანზე ღოლობერიძეც, იგი საფუძვლიანად ჩაკეტა ვოინოვმა. მთელი თამაშის განმავლობაში არაფერი სასარგებლო არ შეუქმნიათ ხასაიას და ცაგარეიშვილს, უნაყოფო გამოდგა კოტრიკაძის რამდენიმე სტიქიური იერიში მარჯვენა ფრთაზე.

მთელ ხუთეულს არც ერთი ეფექტური კომბინაცია არ გაუთამაშებია. როგორც კი რომელიმე თავდამსხმელს ბურთი ჩაუვარდებოდა, ოთხივე მისი პარტნიორი ჩაკეტილი იყო. და უაზრო, უგეგმო გადაცემებს მაშინვე ეუფლებოდნენ ზენიტელები.

სულ სხვაგვარად თამაშობდა ლენინგრადის „ზენიტი". გუნდმა ერთიანი, მონოლითური კოლექტივის შთაბეჭდილება დატოვა. ყოველი ფეხბურთელი კეთილსინდისიერად, ოსტატურად ასრულებდა თავის მოვალეობას, ყოველი რგოლი მოქმედებდა გააზრებულად და შეთანხმებულად. ბრწყინვალედ ითამაშეს ნახევარმცველებმა ვოინოვმა და კრავეცმა.

მეორე ბურთი ლენინგრადელებმა თამაშის დასასრულს გაიტანეს. კიტია ცუდად გამოვიდა მაღალ ბურთზე და ხუდოიაშთან ბრძოლაში ხელიდან გაუშვა იგი. ლენინგრადელმა არ დააყოვნა მისი კარში გაგზავნა.

მატჩი დამსახურებულად მოიგო „ზენიტმა" — 2:0.

• • •

დუბლიორთა შეხვედრაში გაიმარჯვეს დინამოელებმა — 4:2.

ვ. ხეცურიანი

სსრ კავშირის პირველობა

გათამაშების ცხრილი

„ა" კლასი

მდგომარეობა 11 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" მ.	21	12	5	4	36:16	29
„სპარტაკი" მნ.	21	10	6	5	24:19	26
„სპარტაკი" მ.	19	11	2	6	39:21	24
„შრ. რეზერ".	21	8	7	6	26:22	23
„დინამო" კ.	19	8	6	5	27:22	22
„დინამო" თბ.	22	9	4	9	37:41	22
ცდსა	19	7	7	5	26:19	21
„ლოკომოტ". მ.	21	6	7	8	11:14	19
„კრ. სოვეტ".	22	7	5	10	19:25	19
„ტორპედო" მ.	20	6	5	9	25:30	17
„ზენიტი"	20	5	7	8	18:25	17
„ლოკომოტ". ხ.	20	5	4	11	14:33	14
„ტორპედო" გ.	21	3	7	11	17:32	13

„ა" კლასის ოსტატთა შეხვედრები

„ლოკომოტივი" (ხარკოვი) — „დინამო" (კიევი)

კვირას, 8 აგვისტოს ხარკოვში შედგა მატჩი ადგილობრივ „ლოკომოტივსა" და კიევის „დინამოს" შორის.

რკინიგზელებმა გაიტანეს ერთადერთი ბურთი და გაიმარჯვეს — 1:0.

• • •

„ტორპედო" (მოსკოვი) — „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)

9 აგვისტოს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ „ტორპედო" (მოსკოვი) და „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი).

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

• • •

„დინამო" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)

გუშინ მოსკოვში თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები „დინამო" და „ლოკომოტივი".

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა.

• • •

„სპარტაკი" (მინსკი) — „ტორპედო" (გორკი)

გუშინ მინსკის „სპარტაკმა" თავის მოედანზე მიიღო გორკის „ტორპედო".

თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

საერთაშორისო შეხვედრა

...ჯორჯიკიამ ცენტრში მიღებული ბურთი სწრაფად გადასცა კილაძეს, რომელმაც დრიბლინგით აუარა გვერდი ფრანგების მცველს. ფარქვეშ ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ინწკირველი და აბაშიძე, წამიც და ორივე ბურთის მისაღებად ახტა ჰაერში. აბაშიძემ დაასწრო ამხანაგს, ბურთმა მიმართულება შეიცვალა და მოწინააღმდეგის კალათში ჩავარდა.

ასე დაიწყო საფრანგეთის კალათბურთელების შეხვედრა თბილისის „დინამოსთან" 10 აგვისტოს. თავის მოწინააღმდეგის შესახებ ლიონის კლუბის „ასველის" მოთამაშეებმა ბევრი რამ იცოდნენ. იცოდნენ ისიც, რომ თბილისის „დინამო" საბჭოთა კავშირის ჩემპიონია, ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივია და სწორედ ამიტომ შეხვედრის დაწყება, ყოველ შემთხვევაში, პირველ წუთებში ნაკლები რისკით დაიწყეს. თბილისელები თამაშობენ მაღალ ტემპში — ე. ი. საჭიროა რადაც არ უნდა დაჯდეს მათი ტემპიდან ამოგდება. დინამოელები კარგად ესვრიან კალათში — საჭიროა ხელი შეუშალონ სროლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში. ასე ფიქრობდნენ ფრანგი კალათბურთელები და ამ ამოცანით დაიწყეს მათ თამაში.

მაგრამ პირველსავე წუთებზე ცხადი გახდა, რომ დინამოელთა ტემპიდან ამოგდება არც ისე იოლი საქმეა. ელვისებური გარღვევებით ინწკირველი და კილაძე ზუსტად ამთავრებენ ზურგში დაწყებულ კომბინაციებს. როგორც წინა შეხვედრაში თბილისის კალათბურთელებმა მშრალი ანგარიში შეინარჩუნეს ცხრამდე, მაგრამ აი პირველ საჯარიმო სროლას რეიძ ზუსტად, შეუცდომლად იყენებს და სადემონსტრაციო დაფაზე აღინიშნა — 9:1.

ინიციატივა მთლიანად „დინამოს" კალათბურთელებს უპყრიათ. ბურთის სწრაფი, თავბრუდამხვევი გათამაშებას კილაძე ოსტატური სროლით აგვირგვინებს. შემდეგ ინწკირველი არაჩვეულებრივად ძნელი მდგომარეობიდან ანგარიშს კიდევ ორი ქულით ზრდის. ფრანგები რამდენიმე ხნით ცვლიან ტაქტიკას. რადგან ფარქვეშ გასვლის საშუალებას ქორქია, ჯორჯიკია და აბაშიძე არ იძლეოდნენ, სტუმრებმა თბილისელთა კალათის აღება სცადეს შორიდან სროლებით. მინარი (№ 9) და საი (№ 4) ამცირებენ განსხვავებას ანგარიშში, მაგრამ მთელი თამაშის აგება შორიდან სროლებზე შეუძლებელია — ყველა ბურთი ხომ ვერ მიაღწევს მიზანს. მაშინ ამხანაგების წარმატებით გათამამებულმა ჟოლივიემ (№ 11) სცადა შორიდან სროლა, ბურთი მოხვდა კალათის რგოლს და დაბრუნდა თამაშში. მას ელვის სისწრაფით დაეპატრონენ თბილისელები, სწრაფი გადაცემებით ფრანგების ფარქვეშ გაიყვანეს ჯორჯიკია და... კვლავ ორი ქულა.

თანდათან ცხადი გახდა, რომ ფრანგებს უჭირთ ჩვენი „ცენტრების" — ქორქიას და აბაშიძის იერიშების უვნებელყოფაც. ქორქიას დამატებით სადარაჯოდ მიუჩინეს მეორე კაციც, მაგრამ თბილისელთა კაპიტანი რამდენიმეჯერ ახერხებს მაინც ბურთის კალათში მოთავსებას. არაფერს არ აძლევს სტუმრებს მოთამაშეთა ხშირი შეცვლაც. პირველი ნახევარი დამთავრდა დინამოს გამარჯვებით 33:14.

მეორე ტაიმის დასაწყისი აღინიშნა ჯორჯიკიას ორი ზუსტი სროლით. ანგარიშზე 38:14 ინწკირველი ლამაზად ატყუებს მოწინააღმდეგის მცველებს და თავის გუნდს კიდევ ორ ქულას მატებს. სტადიონი მქუხარე ტაშით აჯილდოებს თბილისელის მაღალ ოსტატობას.

მალე მოედანს სტოვებს საი და მის ნაცვლად შემოდის მიუგე. ამჯერად შეცვლა დროული გამოდგა. მიუგე კარგად ჩაება თამაშში და ორჯერ ზუსტად მოათავსა ბურთი თბილისელთა კალათში. ფრანგები თითქოს გამოცოცხლდნენ, გააქტიურდნენ კიდეც, მაგრამ ანგარიშში განსხვავება უკვე საგრძნობი იყო — 48:21. თანდათანობით მოედანს სტოვებენ „დინამოს" ძირითადი მოთამაშეები. მათ ადგილს იკავებენ ახალგაზრდა კალათბურთელები. მატჩი უკვე მოგებულია — ეხლა საჭიროა ახალგაზრდებმა შეინარჩუნონ წარმატება და უნდა ითქვას, ისინი ამ ამოცანას წარმატებით ასრულებენ.

შეხვედრის ბოლო წუთებზე წამოსულმა წვიმამ საგრძნობლად გააძნელა თამაში. სველი მოედანი ცალკეული ტექნიკური ილეთების შესრულების საშუალებას არ იძლეოდა. მიუხედავად ამისა, თამაშს ინტერესი უკანასკნელ წუთამდე არ დაუკარგავს. მსაჯის საფინალო სასტვენმა თბილისის „დინამოს" სტადიონზე შეკრებილთ აუწყა ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელთა მორიგი გამარჯვება საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრაში ფრანგების წინააღმდეგ — 75:41.

გულთბილი ტაშით გააცილა მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა სტუმრები — ლიონის კლუბის „ასველის" კალათბურთელები.

ნ. ბუზუშვილი

ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება

1945 წლიდან მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ფეხბურთელთა გუნდებს შორის ტარდება გათამაშება ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის მიერ დაწესებულ გარდამავალ პრიზზე.

ამ წელს პირველი ადგილი დაიკავეს მოსკოვის ნორჩმა ფეხბურთელებმა, ხოლო 1946 წელს გამარჯვებული გამოვიდა ლიტვის გუნდი. 1947 წელს ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების გათამაშებაში გამარჯვებული სკოლების გუნდები. კაუნასის 1-ლი და თბილისის 35-ე სკოლების გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს კაუნასელებმა. მომდევნო წელს თასი მოიპოვეს მოსკოველებმა.

1950-51 წლებში გათამაშებაში უძლიერესნი აღმოჩნდნენ საქართველოს ფეხბურთელები. 1952 წელს გაიმარჯვეს უკრაინელებმა, მაგრამ 1953 წელს პირველ ადგილზე კვლავ საქართველოს გუნდი გამოვიდა.

ჭაბუკ ფეხბურთელთა წლევანდელი საკავშირო შეჯიბრება დაიწყო სამ ზონაში (ალმა-ატაში, კუიბიშევსა და მინსკში). ფინალურ ჯგუფში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს რსფსრ-ს, საქართველოს, მოსკოვის, სომხეთის, უკრაინისა და ლიტვის გუნდებმა.

ფინალური გათამაშება დაიწყო მოსკოვში. პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ უკრაინა-რსფსრ, მოსკოვი-ლიტვა. უკრაინელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1, ხოლო მოსკოველებმა — 4:0 ამ დღეს ყველაზე საინტერესო იყო საქართველოსა და სომხეთის ფეხბურთელთა მატჩი. მწვავე ბრძოლაში გაიმარჯვა საქართველოს გუნდმა — 2:1

საქართველოს პირველობა

მატჩები აგვისტოში

22 აგვისტო. „კრ. ზვეზდა" (ზუგდიდი)-„დინამო" (ბათუმი); „სპარტაკი" (ბორჯომი)-ტ. ტ. ს.-ი (თბილისი); 26 კომ. რაიონი (თბილისი)-ფოთი (ნაკრები); „მეტალურგი" (რუსთავი)-„დინამო" (სოხუმი); „კოლმეურნე" (მახარაძე)-„დინამო" (ქუთაისი). **29 აგვისტო.** „ლოკომოტივი"-„კრ. ზვეზდა"; „დინამო" (ბათუმი)-„სპარტაკი"; ტ. ტ. ს.-ი-26 კომ. რ-ნი; „დინამო" (გორი)-„მეტალურგი"; „დინამო" (სოხუმი)-„კოლმეურნე". მატჩების დასაწყისი 18 საათზე

შენიშვნა: „ნეფტიანიკი" (წითელწყარო) და „მედიკი" (თბილისი) მოხსნილი არიან გათამაშებიდან, ამიტომ „დინამო" (გორი) და „ლოკომოტივი" (ხაშური) პირველ ტურში, ხოლო „დინამო" (ქუთაისი) და ფოთი (ნაკრები) მეორე ტურში თავისუფალი არიან თამაშებიდან.

ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტში

სპორტული მსაჯობის ხარისხის ამაღლებისათვის

ფიზკულტურულ მოძრაობაში განსაკუთრებული როლი ენიჭება მსაჯობას. როგორც ცნობილია, მსაჯი ემსახურება სპორტულ შეჯიბრებას, აქტიურ მონაწილეობას იღებს ფიზკულტურული კოლექტივის ცხოვრებაში, ხელს უწყობს სპორტსმენთა დაოსტატებას. სპორტული მსაჯი — ეს არის ძლიერი საზოგადოებრივი ძალა, რომელიც თავისი ძირითადი საქმიანობისაგან თავისუფალ დროს საყვარელ და სასარგებლო საქმეს ახმარს.

საბჭოთა სპორტული მოძრაობის არსებობის წლებში ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა სპორტული მსაჯობის საბჭოთა სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს უანგარო ობიექტურობა, მაღალი პრინციპულობა და პატიოსნება.

მაგრამ არის ცალკეული შემთხვევები, როცა სპორტული მსაჯი არ დგას თავის სიმაღლეზე. არის ნაკლოვანებანი, რომლებიც გარდა იმისა, რომ დაბლა სწევენ მსაჯთა მუშაობას და შეჯიბრებათა მომსახურების საერთო ხარისხს, უარყოფითად მოქმედებენ სპორტსმენთა მორალურ აღზრდაზე, აფერხებენ მათი ოსტატობის სრულყოფას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, მისი სპორტული სამმართველოები და განყოფილებები, აგრეთვე ფიზკულტურის კომიტეტები ადგილებზე სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მსაჯთა ახალი კადრების გამოზრდას და დაწინაურებას, არასაკმაოდ ხელმძღვანელობენ მსაჯთა კოლეგიების, პრეზიდიუმების მუშაობას.

ამის შედეგად სპორტის მრავალ სახეობაში, განსაკუთრებით კრივში, სპორტთამაშებში, ჭიდაობაში, ციგურებით ფიგურულ სრიალში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა მსაჯობის ხარისხი ჩამორჩება იმ მოთხოვნებს, რომლებიც დასახულია საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის ზრდის წინაშე. გადაწყვეტილების მიღებისას არასაკმაო პრინციპულობას და ობიექტურობას, შეჯიბრებათა წესების დოგმატურ და ფორმალურ გაგებას ჯერ კიდევ ხშირად აქვს ადგილი ჩვენი მსაჯების პრაქტიკულ საქმიანობაში.

სერიოზულ შეცდომებს აქვს ადგილი ფეხბურთის მსაჯობაში. მსაჯები, როგორც წესი, არაზუსტად საზღვრავენ „თამაშგარე“ მდგომარეობას, ცუდად ებრძვიან უხეშობასა და დაუშვებელ საქციელს, გაუბედაობას იჩენენ 11-მეტრიანი საჯარიმოს დანიშვნისას. ბევრი მსაჯი სიმხდალეს იჩენს ამ შემთხვევაში, როცა საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება დისციპლინის დამრღვევთა მიმართ. ისეთი გამოცდილი მსაჯებიც კი, როგორიც არიან ნ. ლატიშევი, ა. ტაველსკი, ვ. არხიპოვი, ნ. ბელიანინი, ვ. სოლდატენკოვი, ე. საარი და სხვანი უშვებენ უხეშ შეცდომებს, რაც გავლენას ახდენს შეჯიბრების შედეგზე და მაყურებელთა კანონიერ აღშფოთებას იწვევს.

სსრ კავშირის პირველობამ კრივში გამოამჟღავნა, რომ საკავშირო და რესპუბლიკური კატეგორიის ბევრი მსაჯი, მათ შორის ა. ფრენკინი, გ. ბუბნოვი, ა. სტავიცკი, ვ. ნიკიტინი, ვ. კონკინი და სხვანი სუსტად იყვნენ მომზადებული.

კრიტიკა და თვითკრიტიკა მსაჯთა კოლეგიების საქმიანობაში მივიწყებულია, რის შედეგად მსაჯები არ მუშაობენ თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ადგილი აქვს ისეთ დაუშვებელ ფაქტებსაც, როცა ფიზკულტურული ორგანიზაციების ცალკეული ხელმძღვანელები თავის სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებენ იმისათვის, რომ გავლენა მოახდინონ მსაჯების გადაწყვეტილებაზე და ამ დროს სათანადო წინააღმდეგობას არ ხვდებიან შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიების მხრივ.

ფიზკულტურული ორგანიზაციები სუსტად იყენებენ სამსაჯო წოდების პროგრესული მინიჭების ჩვენს ქვეყანაში არსებულ სისტემას, რომელიც ჩინებული სტიმულია მსაჯთა აქტიური მუშაობისათვის თავისი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. ასე მაგალითად, 1953 წლის განმავლობაში რსფსრ-ში საკავშირო კატეგორია მიენიჭა 6 მსაჯს, უკრაინაში — 5-ს, ხოლო საქართველოს, ლიტვის, ესტონეთის რესპუბლიკებმა 1953 წლის მანძილზე ვერ დააწინაურეს მსაჯი, რომელიც საკავშირო კატეგორიის მინიჭების ღირსი იყო.

გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ და რესპუბლიკური ფიზკულტურული პრესა თავიანთ ფურცლებზე არ აწარმოებენ სისტემატურ ბრძოლას სპორტული მსაჯების აღზრდისათვის, ცუდად განუმარტავენ მათ, რომ ისინი არიან საბჭოთა სპორტსმენების აღმზრდელები.

სპორტული მსაჯების შემდგომი კვალიფიკაციის ამაღლებისა და მსაჯობაში ახალი კადრების მოზიდვის მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა გამოსცა ბრძანება, რომელშიც იგი წინადადებას აძლევს ფიზკულტურისა და სპორტის ყველა კომიტეტს, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს, საუწყებო ფიზკულტურულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელ ორგანოებს თავიანთი მოღვაწეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგად ჩათვალონ მსაჯთა კადრებთან მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციისა და საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლება.

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ფიზკულტურულ კოლექტივებსა და საზოგადოებათა საბჭოებთან უნდა ჩამოყალიბდეს მსაჯთა ჯგუფები, რომელთაც დაევალება ახალი კადრების მოზიდვა სპორტსმენთა რიცხვიდან, შეჯიბრებათა ჩატარება, მსაჯთა მუშაობის აღრიცხვა და მორიგ სამსაჯო წოდებათა მისაღებად კანდიდატთა წარდგენა.

რეგულარულად უნდა ჩატარდეს სემინარები მსაჯთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. მსაჯთა ყველა საქალაქო კოლეგიასთან უნდა შეიქმნას გამსინჯავ-საკვალიფიკაციო კომისიები შეჯიბრების პროცესში მსაჯობის ხარისხის შეფასებისათვის. უნდა პრაქტიკაში შემოღებულ იქნას მსაჯთა დაჯილდოება.

კომიტეტმა დაამტკიცა ახალი ტიპიური დებულება სპორტული მსაჯებისა და კომიტეტების მსაჯთა კოლეგიების შესახებ. აგვისტოს თვეში ფიზკულტურის კომიტეტებმა სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა ჩაატარონ მსაჯთა საერთო საქალაქო კრებები, საოლქო სექციების პლენუმები, სადაც განხილულ იქნება საკითხები მსაჯთა კოლეგიების მდგომარეობისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

აგვისტო-ნოემბრის მანძილზე უნდა მოეწყოს კალათბურთის, ფეხბურთის, ჰოკეისა და ტანვარჯიშის საკავშირო სექციათა პლენუმები, სადაც განხილულ იქნება იგივე საკითხები. ა. წ. სექტემბერ-ნოემბრის განმავლობაში ყველგან ჩატარდება ყველა კატეგორიის მსაჯების ხელახალი ატესტაცია.

დაწესებულია სპორტული მსაჯის ერთიანი ბილეთი, რომელიც მსაჯს უნდა გადაეცეს მესამე სამსაჯო კატეგორიის მინიჭების შემდეგ.

საკავშირო კომიტეტმა დაადგინა პრაქტიკაში ფართო მასშტაბით იქნას შემოღებული კვალიფიციური მსაჯების მივლინება პერიფერიებში ადგილებზე მსაჯთა სემინარების ჩასატარებლად, მსაჯთა კოლეგიებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

„ფიზკულტურა ი სპორტის“ გამომცემლობას დაევალა 1955-56 წ. წ. გეგმაში გაითვალისწინოს მსაჯთათვის სახელმძღვანელოების გამოცემა სპორტის ყველა სახეობაში.



★

სამტრედიის საორთქლმავლო დეპოში აწევითი საამქროს მრავალი მუშა საწარმოო გეგმების შესრულებასთან ერთად ნაყოფიერად მეცადინეობს სპორტულ სექციებში.

სურათზე: მოწინავე ზეინკლები შოთა ახობაძე (მარცხნივ) და გურამი იობიძე საამქროში მუშაობის დროს. ახობაძე და იობიძე ველოსექციაში წვრთნის შემდეგ.

ფოტო გ. ათაბეგოვისა

★

ბეშუმის პიონერთა ბანაკში

აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს ქ. ე. ვოროშილოვის სახელობის ბეშუმის პიონერთა ბანაკში 300 პიონერი ისვენებს. აქ საინტერესო და მრავალფეროვანია ბავშვების ცხოვრება. კეთილმოწყობილი კალათბურთის, ფრენბურთისა და ჩოგბურთის მოედნები, სარბენი ბილიკები ხელს უწყობენ პიონერების გართობასა და ფიზიკურ გამოწრთობას.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მოეწყო ბანაკის სპარტაკიადა. პროგრამაში იყო კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი და შაში. კალათბურთში გოგონებს შორის პირველი ადგილი მოიპოვა ი. ჭავჭავაძის სახელობის პირველმა რაზმმა, ხოლო ვაჟებს შორის პირველი იყო ა. მატროსოვის სახელობის მე-6 რაზმი. ჭადრაკში გამარჯვება წილად ხვდა შ. რუსიეშვილს, გუნდური პირველი ადგილი დაიკავა მე-6 რაზმმა.

შიდასაბანაკო შეჯიბრებების გარდა ხშირად ეწყობა სხვა ბანაკებთან შეხვედრები.

გ. თარგამაძე

სპორტული ქრონიკა

მახარაძე. ერთ თვეს გრძელდებოდა რაიონის პირველობის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა საკოლმეურნეო 10 გუნდი. გაიმარჯვეს სოფელ ლაშეს ფეხბურთელებმა, რომლებმაც 4 : 3 დაამარცხეს ექადიის გუნდი. მეორე ადგილზეა ექადიის გუნდი.

უნდა აღინიშნოს, რომ გათამაშებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ნატანების, ძიმითის, მერიის, ცხემლისხიდის, შემოქმედისა და სხვ. ფეხბურთელთა კოლექტივებს.

კ. გოგატაძე,

• • •

თელავი. ამას წინათ თელავის ძაფსაღები ფაბრიკის ფიზკულტურის კოლექტივმა ჩაატარა შიდასაფაბრიკო სპარტაკიადა. პროგრამაში იყო ფრენბურთი, მძლეოსნობა, შაში და ჭადრაკი.

შეჯიბრებაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ლ. მეცხვარიშვილმა, ც. თოროზოვამ, მ. სოხურაშვილმა, შ. გიგილოშვილმა, შ. იმერლიშვილმა და სხვ.

ვ. ქურციკაშვილი

ჩვენი კალენდარი

ვერა მენჩიკი

◆

გარდაცვალებიდან 10 წლისთავის გამო

◆

ჰასტინგის 1932 წლის საერთაშორისო ტურნირი დასასრულს უახლოვდებოდა. ლიდერები განსაკუთრებული მონდომებით თამაშობდნენ უკანასკნელ პარტიებს. მსოფლიო ჩემპიონობის კანდიდატი ჰოლანდიელი მაქს ეივე ენერგიულად იბრძოდა პირველი პრიზისათვის. მას თითქოს კონკურენტიც არ ჰყავდა, მაგრამ საქმე სხვაგვარად წარიმართა... იგი დიდხანს ფიქრობდა, ბოლოს ფერდაკარგული წამოდგა და პარტნიორს ხელი გაუწოდა:

— მომილოცავს ქალბატონო გამარჯვება, თქვენ ჩინებულად ითამაშეთ. სამწუხაროდ, მეც თქვენი კლუბის წევრი გავხდი, — მალული მწუხარებით დასძინა გროსმაისტერმა.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით გახმაურდა. შეშფოთდა ეივეს მეუღლეც და მეორე დღესვე ჰოლანდიიდან ქმრის დამარცხების მიზეზის გასაგებად ჰასტინგს გაფრინდა. მაგრამ მისი ჩამოსვლის დღეს ვერა მენჩიკმა კიდევ ერთი ცნობილი ოსტატი დააყრევინა ფარ-ხმალი. მაშინ ქალბატონი ეივე დარწმუნდა რა იმაში, რომ მისი მეუღლის დამარცხებას ინტიმური სარჩული არ ედო, გახარებული დაბრუნდა ოჯახში.

ვერა მენჩიკი რეგულარულად მონაწილეობდა საერთაშორისო ტურნირებში. ხშირად კიდეც ახერხებდა საჭადრაკო ბრძოლებში გამობრძმედილი ოსტატების დამარცხებას.

საჭადრაკო ხელოვნების ისტორიაში ვერა მენჩიკი შევიდა, როგორც მსოფლიოს პირველი ჩემპიონი. იგი დაიბადა 1906 წელს ქ. მოსკოვში. ნიჭიერ გოგონას ჭადრაკის თამაში მამამ შეასწავლა, როცა იგი ცხრა წლისა იყო. მან დაწყებითი განათლება რუსეთში მიიღო. სასკოლო ტურნირებში მენჩიკი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

1923 წლიდან მენჩიკების ოჯახი ინგლისში ცხოვრობს. ჭადრაკისადმი სიყვარულმა ვერა მენჩიკი მიიყვანა ჰასტინგის კლუბში. იგი კვირაში 4-5 ჯერ დადიოდა კლუბში, ხვდებოდა ძლიერ მოჭადრაკეებს, მონაწილეობდა სხვადასხვა სახის ტურნირებში.

გადამწყვეტი მნიშვნელობა მენჩიკის საჭადრაკო ბიოგრაფიაში ითამაშა უნგრელ გროსმაისტერ გეზა მაროცის (1870-1952 წ. წ.) ჩასვლამ ინგლისში. იგი ინგლისელ მოჭადრაკეთათვის ლექციების ციკლს კითხულობდა. მენჩიკი მაროცის თითქმის არც ერთ ლექციას არ აცდენდა. გროსმაისტერმა მიაქცია ყურადღება ნიჭიერ გოგონას და იკისრა მისი მასწავლებლობა.

სულ მოკლე დროში მენჩიკი ჩაწვდა ჭადრაკის თამაშის საიდუმლოებას. მაროციმ გაუზიარა მოწაფეს თავისი მდიდარი გამოცდილება. მალე ძლიერი მოჭადრაკეებიც მენჩიკში ხედავდნენ საშიშ მეტოქეს.

1927 წელს ლონდონში გაიმართა პირველი საერთაშორისო ქალთა ტურნირი მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის. შეჯიბრებამ მიიზიდა ევროპის ცნობილი მოჭადრაკე ქალები. ვერა მენჩიკმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი. მან 11 შეხვედრაში 10 მოიგო და ერთი ყაიმით დაამთავრა.

ამის შემდეგ ვ. მენჩიკს ხშირად ვხედავთ საერთაშორისო ტურნირების მონაწილედ. დიდად მნიშვნელოვანი იყო ვ. მენჩიკის წარმატება რამსგეტის 1929 წლის საერთაშორისო ტურნირში. ძლიერი თამაშით მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრები მსოფლიო ექსჩემპიონ ხ. კაპაბლანკასთან, გროსმაისტერ ა. რუბინშტეინთან და დანარჩენი პარტიების მოგებით ა. რუბინშტეინთან მეორე-მესამე ადგილი გაიყო. პირველზე ხ. კაპაბლანკა გავიდა.

1929 წელს კარლსბადის საერთაშორისო ტურნირზე თავი მოიყარა 22 ცნობილმა მოჭადრაკემ. მათ რიცხვში ვ. მენჩიკიც იყო. შეჯიბრების გახსნაზე ოსტატმა ბეკერმა იხუმრა:

— ძვირფასო მეგობრებო, როგორც იცით ჩვენი ტურნირის მონაწილეთა შორის გახლავთ მსოფლიო ჩემპიონი ქალბატონი ვერა მენჩიკი. შემომაქვს წინადადება, დავაარსოთ ვ. მენჩიკის სახელობის კლუბი, რომლის წევრები გახდებიან ისინი, ვინც მასთან წააგებენ პარტიებს, რას იტყვით? — იკითხა ბეკერმა.

მოჭადრაკეები კმაყოფილებით შეხვდნენ კლუბის შექმნის იდეას.

კენჭისყრის შემდეგ გამოირკვა, რომ ბეკერი პირველ ტურშივე ხვდება ვ. მენჩიკს.

დაიწყო ტური. ვ. მენჩიკმა დებიუტი მშვიდად გაითამაშა და შეავიწროვა ბეკერის პოზიცია. მეთოდური თამაშით მენჩიკმა გაიმარჯვა. ახმაურდნენ დარბაზში: ოსტატები ბეკერს ულოცავდნენ დაარსებული კლუბის პირველ წევრად გახდომას. იგი მაშინვე ამ კლუბის პრეზიდენტადაც გამოაცხადეს.

შემდგომ ვ. მენჩიკის კლუბში ჩაირიცხნენ გროსმაისტერები მ. ეივე, რომელსაც სხვათაშორის ორი პარტია აქვს წაგებული მენჩიკთან, მაროცი და სხვები — სულ 100 სახელგანთქმული მოჭადრაკე.

ვ. მენჩიკმა ექვსჯერ (1930, 1931, 1933, 1935, 1937 და 1939 წ. წ.) დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი.

ვერა მენჩიკმა 38 წელი იცოცხლა. 1944 წელს გერმანელი ფაშისტების მიერ ლონდონის დაბომბვის დროს მსოფლიოს ჩემპიონი მოკლულ იქნა.

თ. გიორგაძე,

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“. ტელეფონები:
რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04652